

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“ №209-210, 26.10.2004) შეტანილ იქნეს ცვლილება და კანონის 83<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს 2008 წლის საგაზაფხულო სესიაზე განსახილველად მომზადებულ იქნეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის პროექტი.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,  
2007 წლის დეკემბერი  
№--უ.ს.გ.ს.